



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 8

2016 წლის 4 იანვარი

ქ.ლაგოდეხი

„შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 მაისის №837 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:


მუხლი 1. შევიდეს ცვლილება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 21 მაისის №837 ბრძანებაში „შესყიდვების ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ და ჯგუფის უფროსის მოვალეობა დროებით - მ/წლის 4 იანვრიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში დაეკისროს აღნიშნული ჯგუფის წევრს - ზედამხედველობის სამსახურის მთ.სპეციალისტს ვალერი ხუციშვილს.

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ზედამხედველობის სამსახურის მთ.სპეციალისტს ვალერი ხუციშვილს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №22.

გამგებელი:



კარლო ჯამბურია